



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 4

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. გარდაბანი
31.01.2024

4-06-4-202401311805



გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, BOGDAN A092 მოდელის სამი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების წაღვის მუნიციპალიტეტისათვის 10 (ათი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის, მეექვსე ნაწილისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 23 იანვრის N18-182402396 წერილის თანახმად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ვ ე ბ ა :

მუხლი 1

მიეცეს თანხმობა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, BOGDAN A092 მოდელის სამი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება (რეგისტრაციის ნომერი HH904II, საიდ. №Y7BA092017B000648; რეგისტრაციის ნომერი HH905II, საიდ. №Y7BA092017B001253; რეგისტრაციის ნომერი HH907II, საიდ. №Y7BA092017B001252) სარგებლობის უფლებით თხოვების ფორმით გადასცეს წაღვის მუნიციპალიტეტს, 10 (ათი) წლის ვადით.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე